საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N12 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 14 სექტემბერი)

www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი 3

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა 4

3. უსაფრთხოება 7

4. პატიმრობის პირობები 10

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა 10

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები 14

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება 21

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან 23

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 14 სექტემბერს N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტების თანამშრომლები.[1] ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიცირება.

ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მისცეს საშუალება გაცნობოდნენ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართულ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებს, რადგან, მათივე განმარტებით, შუამდგომლობებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენდა საიდუმლოებას. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად დასაბუთებული და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

N12 დაწესებულება წარმოადგენს ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებას, რომელიც განკუთვნილია 450 პატიმრის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 275 მსჯავრდებული.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული ინფორმაციის თანახმად,[2] 2015 წელს დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის სარემონტო სამუშაოები: გარემონტდა და გამოიყო სილამაზის სალონისათვის განკუთვნილი ოთახი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მსჯავრდებულთა კომპიუტერული სწავლებისთვის განკუთვნილ ოთახს, მე-4 და მე-5 საცხოვრებელ კორპუსებს და მასში არსებულ სველ წერტილებს, ივლისის/აგვისტოს თვეში რემონტი ჩატარდა დაწესებულების სამედიცინო ბლოკში, გამოიყო და გარემონტდა „C”

[1] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, ლევან ბეგიაშვილი, მერი სამსონია, თეიმურაზ რეხვიაშვილი, კახაბერ გოგაშვილი, ნესტან ლონდარიძე, მაია ცირამუა. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი: მერი მაღლაფერიძე. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი: ეკა ხუციშვილი. თანასწორობის დეპარტამენტი: გიორგი კაპანაძე.

[2] 2015 წლის 6 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N12 დაწესებულების დირექტორის მოადგილის N11796/15 წერილი.

ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამისთვის სპეციალიზებული ოთახი, გარემონტდა მთავარი ექიმის ოთახი, სამედიცინო ბლოკის ტერიტორიაზე მოეწყო ახალი წამლების საცავი და ფარმაცევტის კაბინეტი.

პენიტენციური დეპარტამენტის N12 დაწესებულებაში წლების განმავლობაში არსებობდა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი დეტალურად მიუთითებდა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა არაერთი ინფრასტრუქტურული პრობლემა, კერძოდ, ძველ საცხოვრებელ კორპუსსა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელ საკნებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ტარდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობები და პატიმრებს საშუალება აქვთ, სურვილისამებრ, მიიღონ მონაწილეობა აქტივობებში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მონაცემებთან შედარებით, 2015 წელს შეინიშნება დისციპლინური სახდელების გამოყენების უმნიშვნელო ზრდა. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერით.

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“[3]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.[4] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების

[3] გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა.

[4] იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.[5]

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებაში 2015 წლის 1 იანვრიდან 14 სექტემბერის ჩათვლით დაზიანებების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

თვითდაზიანებათა შემთხვევები	საყოფაცხოვრებო ტრავმა	სხვა პირის მიერ მიყენებული	სულ
8	2	1	11

დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერის თანახმად, მხოლოდ 1 შემთხვევაში ჰქონდა პატიმრის მიერ სხვა პატიმრის[6] სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი, რასთან დაკავშირებითაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პატიმარი გადაიყვანეს სხვა დახურული ტიპის დაწესებულებაში.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: დაზიანებების ჟურნალში არ იყო აღწერილი რამდენიმე ისეთი დაზიანება, რაც დაწესებულებიდან გასული ტელეფონოგრამების აღრიცხვის ჟურნალში იყო მითითებული, ასე მაგალითად, „მარჯვენა ფეხის წვივის არეში ნახეთქი ჭრილობა დაახლოებით 2 სმ სიგრძის“, „მარცხენა მხარის სახსრის ამოვარდნილობა“, მხრის ჩვეულებრივი ამოვარდნა“. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოთ მითითებულ ორ შემთხვევაში, რომელიც ეხება მხრის ამოვარდნას, გასული ტელეფონოგრამების ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა იყო ამ ტრავმების გამომწვევი მიზეზი.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;

[5] იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

[6] სამეურნეო ნაწილის ჯგუფის უფროსს მიაყენა შეურაცხყოფა.

- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიანიშნებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს ამისათვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები, რომელიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.[7]

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.[8]

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.[9]

საგულისხმოა, რომ N12 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში, დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების წარმომავლობად პატიმარი უთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, აუცილებლად მოხდეს სხეულის სრულყოფილად დათვალიერება, სხვა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით, რათა გაირკვეს აქვს თუ არა მას სხვა დაზიანებები, ასევე შეიძლებოდა თუ არა პატიმარს ეს დაზიანება მიეღო იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც ის შემოწმების დროს უთითებს და ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მის მიმართ განხორციელდა ძალადობა. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის წლიურ ანგარიშში.[10]

---

[7] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

[8] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105.

[9] იქვე პარ. 122.

[10] იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიში, გვ. 21-32 და 42

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შეისწავლოს დაზიანების ჟურნალში დაზიანებების არაღწერის მიზეზები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაზიანებების ჟურნალის სრულყოფილი წარმოებისთვის**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა გასული ტელეფონოგრამების ჟურნალში ჩანაწერების წარმოების სრულყოფისათვის**
- **„სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა**

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრისა და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.
>
> ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება."

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის, ასევე, რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პენიტენციურ დაწესებულებებში მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა. შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ასეთი ზომის გამოყენება. ისევე როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, N12 დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ბრძანების გამოცემას საფუძვლად უდევს დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ან სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების შუამდგომლობა. ვიზიტის დროს, N12 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი იყო 5 საკანი,[11] სადაც 2015 წლის განმავლობაში მეთვალყურეობა განხორციელდა 4 მსჯავრდებულის მიმართ.

N12 დაწესებულებაში 2 მსჯავრდებულის მიმართ ვიზუალური მეთვალყურეობა დაწესებული იყო უსაფრთხოების განყოფილების „საიდუმლო" შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით, შეიცავს ოპერატიულ ინფორმაციას და აღნიშნულის გამო ჯგუფის წევრებს არ მიეცათ მისი გაცნობის და შესაბამისად, გამოყენებული ზომის დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობა. რაც შეეხება დანარჩენ 2 შემთხვევას, გაირკვა, რომ მათ მიმართ მეთვალყურეობა დაწესდა

[11] აქედან 3 არის სამარტოო საკანი.

სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე იმ არგუმენტით, რომ აღნიშნულმა მსჯავრდებულებმა გამოაცხადეს შიმშილობა და არსებობს მათ მიერ თვითდაზიანების საფრთხე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევებში შუამდგომლობებში მითითებული არ არის, თუ კონკრეტულად რა გარემოებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით არსებობს თვითდაზიანების რისკი. ამდენად, მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული შუამდგომლობები საკმარისად დასაბუთებული არ არის.

„პატიმრობის კოდექსის“ 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება.“

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, „პატიმრობის კოდექსის“ 57^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ა) ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) ხელკეტი; ვ) ცრემლსადენი გაზი; ზ) წიწაკის გაზი; თ) არალეტალური იარაღი; ი) აკუსტიკური საშუალება; კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქ-ბგერითი მოწყობილობა; ლ) წყალსატყორცნი; მ) სასამსახურო ძაღლი.“

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ N12 დაწესებულებაში 2015 წელს უსაფრთხოების ღონისძიებები და სპეციალური საშუალებები გამოყენებული არ ყოფილა.

როგორც ვიზიტის მიმდინარეობისას დადგინდა, 2015 წლის განმავლობაში პატიმრებს შორის სიტყვიერ შელაპარაკებას ადგილი ჰქონდა 3 შემთხვევაში, ხოლო ფიზიკური დაპირისპირების 1 შემთხვევა დაფიქსირდა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, N12 დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების მოტივით, დაწესებულების ადმინისტრაციის ინიციატივით ხორციელდება პატიმრების სხვა დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა. როგორც საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, იმ შემთხვევაში თუ პატიმარი პრობლემას ქმნის დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით, დაწესებულების დირექტორი წერილით მიმართავს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, ხოლო

აღნიშნული მიმართვის საფუძველზე დეპარტამენტის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წერილობითი მიმართვა წარმოადგენს საიდუმლო წერილს, რის გამოც ჯგუფის წევრებს არ მიეცათ მისი გაცნობის და შესაბამისად, აღნიშნული ზომის აუცილებლობის დასაბუთების შეფასების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შეისწავლოს N12 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის გამოყენების პრაქტიკა და უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული**
- **ვიზუალური მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტურია**

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ამასთან, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობას, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“[12]. „ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ და იმუშაონ ბუნებრივი განათების პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს[13].“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომაც, რომელშიც პირი იმყოფება. ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით[14].“

[12] ციხის ევროპული წესები, წესი – 18.1.

[13] ციხის ევროპული წესები, წესი 18.2.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირმა სასჯელი ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში მოიხადოს, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი[15]. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივანის კონკრეტული ბრალდებები. [16]

პენიტენციური დეპარტამენტის N12 დაწესებულებაში წლების განმავლობაში არსებობდა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი დეტალურად მიუთითებდა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[17] 2015 წელს დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის სარემონტო სამუშაოები: გარემონტდა და გამოიყო სილამაზის სალონისათვის განკუთვნილი ოთახი; კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მსჯავრდებულთა კომპიუტერული სწავლებისთვის განკუთვნილ ოთახს; მე-4 და მე-5 საცხოვრებელ კორპუსებს და მასში არსებულ სველ წერტილებს; ივლისსა და აგვისტოში რემონტი ჩატარდა დაწესებულების სამედიცინო ბლოკში, გამოიყო და გარემონტდა „C“ ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამისთვის სპეციალიზებული ოთახი, გარემონტდა მთავარი ექიმის ოთახი, სამედიცინო ბლოკის ტერიტორიაზე მოეწყო ახალი წამლების საცავი და ფარმაცევტის კაბინეტი.

დაწესებულებაში არის 7 საცხოვრებელი კორპუსი, საცხოვრებელ კორპუსებში კი სხვადასხვა რაოდენობის - 2[18], 3, 4[19], 5, 6[20], 8[21], 10[22] და 12[23] ადგილიანი საერთო საცხოვრებელი საკნები.

---

[14] ციხის ევროპული წესები, წესი 4.

[15] Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

[16] იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

[17] 2015 წლის 6 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N12 დაწესებულების დირექტორის მოადგილის N11796/15 წერილი.

[18] ძველ საცხოვრებელ კორპუსში 2 ადგილიანი საკნის ფართობია 9.6 მ$^{2.}$

[19] 4 ადგილიანი საკნების ფართობი დაწესებულების ახალ საცხოვრებელ კორპუსში იყო 13.6 მ^2.

[20] ახალ საცხოვრებელ კორპუსში 6 ადგილიანი საკნის ფართობია 17.5 მ^2, თუმცა თითო პატიმარზე 4 კვ. ფართის დაცვის მიზნით შესახლებული იყო ნაკლები პატიმარი.

[21] ძველ საცხოვრებელ კორპუსში დაახლოებით 25.6 მ^2/26 მ^2/18.5 მ^2/28 მ^2, ხოლო ახალ საცხოვრებელ კორპუსში 19.8 მ^2-ია 8 ადგილიანი საკნების ზომები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითო პატიმარზე 4 კვადრატული ფართის მოთხოვნის დაცვის მიზნით, ყველა საკანში შესახლებულია განსაზღვრულზე ნაკლები რაოდენობის პატიმარი.

[22] ძველ საცხოვრებელ კორპუსში 10 ადგილიანი საკნის ფართობი იყო 24.7 მ^2, თუმცა რეალურად განთავსებული იყო 4/5 პატიმარი.

[23] ახალ საცხოვრებელ კორპუსში 12 ადგილიანი საკნის ფართობი იყო 36.4 მ^2.

დაწესებულებაში ზოგიერთ საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას[24]. ახლად გარემონტებულ საცხოვრებელ კორპუსში, 12 ადგილიან საკანში, სადაც ვიზიტის დროს მოთავსებული იყო 11 პატიმარი, საკნის ფართობი შეადგენდა 36.4 მ^2-ს. ასევე 4 ადგილიან საკანში, სადაც 4 პატიმარი იყო მოთავსებული, საკნის ფართობი შეადგენდა 13.6 მ^2-ს; ძველი საცხოვრებელი კორპუსის 8 ადგილიან საკნებში, სადაც შესახლებული იყო 7 პატიმარი, საკნის ფართობი შეადგენდა 26.7 მ^2 და 23.8 მ^2-ს.

პატიმართა ძირითადი საცხოვრებელი კორპუსი[25] მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, უფრო ცუდ მდგომარეობაშია სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელი შენობა. აღნიშნული ეხება, როგორც ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ასვე სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობას. აქ არსებულ საკნებში არის მცირე ზომის ფანჯრები,[26] რის გამოც ვერ ხდება საკნების სათანადო განათება და განიავება.[27] საკნების შესასვლელში არსებული დერეფანი არის ბნელი, იატაკი, კედლები და ჭერი ალაგ-ალაგ ჩამომტვრეული და შელახულია. ძირითად საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში მოსაწესრიგებელია ელექტრო გაყვანილობის ქსელები, ვინაიდან არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ზოგიერთი საკნის კარებსა თუ ფანჯრებში ხელოვნურად ჩამონტაჟებული იყო ვენტილატორები. იმ საკნებში, სადაც არ იყო ვენტილატორები, ხელოვნური ვენტილაცია გართულებული იყო. დაწესებულების ძველ საცხოვრებელ კორპუსსა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელ კორპუსში ცენტრალური სავენტილაციო სისტემა საერთოდ არ არის.

ახალი საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულზე არსებულ 4 საკანში არ არის სანიტარული კვანძი და საკნებში პატიმართა მოთავსების შემთხვევაში გართულდება სანიტარული კვანძით სარგებლობა ღამის საათებში, როცა საცხოვრებელი საკნების კარები იკეტება. დაწესებულების ძველ საცხოვრებელ კორპუსებში არსებულ საკნებში არ არის ინდივიდუალური სანიტარული კვანძები, პატიმრები სარგებლობენ საერთო საპირფარეშოებით.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 18 ადგილიანი 1 მოსაცდელი (საკარანტინე) საკანი, რომლის ფართია 41.7 მ^2. აღნიშნულ საკანში 11 პატიმრის შესახლების შემთხვევაშიც კი

---

[24] „საქართველოს პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

[25] სადაც ასევე დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების სამუშაო კაბინეტებია მოწყობილი.

[26] N9 საკანში არსებული ფანჯარა - 0.47სმX0.36სმ, N7 საკანში- 0.65სმ X 0.94სმ, N11 საკანში- 0.67სმ X 0.70სმ, N12 საკანში- 0,78სმ X 0.42, N3 და N8 საკნებში-1.02 სმX1.04სმ.

[27] N7, N9, N11, N12, N3 და N8 საკნები.

დაირღვევა „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ფართი – 4 $მ^2$ თითოეულ პატიმარზე.

დაწესებულებაში არის 4 სამარტოო საკანი.[28] აქედან ერთ საკანში მიმდინარეობს რემონტი და დროებით არ გამოიყენება. ყველა საკანში ხორციელდება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. საკნების ფართობებია 12.8 $მ^2$, 17.2 $მ^2$, 18.3 $მ^2$, კედლები და ჭერი გალესილი და შეღებილია. საკნები არ არის უზრუნველყოფილი ხელოვნური ვენტილაციით. ყველა საკანში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. №1 და №3 საკნებში საპირფარეშოები ამორტიზებულია.

დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი სასაწყობე ინფრასტრუქტურა, რის გამოც პატიმრებისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, ლეიბები, ბალიშები, აგრეთვე, სხვადასხვა სახის ინვენტარი ინახება ადმინისტრაციული კორპუსის ერთ-ერთი კიბის ქვეშ.

2015 წლის 23 აგვისტოდან დაწესებულების მაღაზიას პროდუქციით ამარაგებს შპს „კალინა ჯორჯია“. მაღაზიის მენეჯერის განმარტებით, მაღაზია მარაგდება კვირაში ორჯერ, თუმცა, პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო, შესაძლოა მომარაგდეს კვირაში სამჯერ. მაღაზიაში დასაქმებულია სამი სამოქალაქო პირი[29]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრებს რაიმე სახის პრეტენზია დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგებასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ. მაღაზიის მენეჯერის განმარტებით, მაღაზიას ესაჭიროება ექვსი დახლ-მაცივარი[30], რათა შემოიტანონ ისეთი სახის პროდუქცია, როგორიცაა თევზი, ხინკალი, პელმენი, კატლეტი, ქაბაბი და სხვა. ამასთან, ესაჭიროებათ კონდიციონერი, ვინაიდან მაღაზიაში დაცული უნდა იყოს შესაბამისი ტემპერატურა, რათა სწრაფად არ მოხდეს ბოსტნეულის ლპობა და საკონდიტრო ნაწარმის გაფუჭება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **ყველა პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით და საკნებიდან გატანილ იქნას ზედმეტი საწოლები**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა ძველი საცხოვრებელი კორპუსისა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულთა საცხოვრებელ კორპუსში კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა ძველ საცხოვრებელ კორპუსებში ცენტრალური სავენტილაციო სისტემის დასამონტაჟებლად**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ძველ საცხოვრებელ კორპუსებში არსებულ საკნებში ელექტრო-გაყვანილობის უსაფრთხოების წესების**

[28] შენიშვნა: მონიტორინგის მიმდინარეობისას სამარტოო საკანში პატიმრები არ იმყოფებოდნენ.

[29] მსჯავრდებულები მაღაზიაში დასაქმებულები არ არიან.

[30] დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, ფირმა „კალინა ჯორჯიამ“ მაღაზიაში შემოიტანა სამი დახლ-მაცივარი და სხვადასხვა სახის სამომხმარებლო პროდუქცია.

შესაბამისად მოსაწესრიგებლად

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების მაღაზიის შესაბამისი ინვენტარით მომარაგებისათვის
- უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებაში სასაწყობე მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა[31] რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გაიღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში. N12 დაწესებულებაში არის სასეირნო ეზო, სადაც არის მართლმადიდებლური ეკლესია, სხვადასხვა სავარჯიშო ინვენტარი, სკამები, მაგიდები, სათამაშო მოედანი.

რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.[32] ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.[33]

დაწესებულების სოციალური განყოფილება დაკომპლექტებულია შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების უფროსი, 3 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. დაწესებულების ფსიქოლოგს აქვს სამუშაო ოთახი, სადაც იგი ახორციელებს ინდივიდუალურ გასაუბრებას პატიმრებთან. გარდა ამისა, პატიმართა ყველა საცხოვრებელ სართულზე არის სოციალური სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო ოთახები, სადაც პატიმართა სურვილის შემთხვევაში, ხდება სხვადასხვა იურიდიულ თუ სოციალურ საკითხებზე გასაუბრება. დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსის განმარტებით, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო

[31] სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წელი.

[32] ნელსონ მანდელას წესები, წესი 105.

[33] ევროპული ციხის წესები, წესი 28.1

პროგრამების შესახებ ბენეფიციართა ინფორმირება ხდება დაწესებულების სოციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ, თუმცა დაწესებულებაში არ ხდება მოტივაციური ინტერვიუს ჩატარება, რადგან ამ სამსახურის თანამშრომლებს არ გაუვლიათ მომზადება ამ მიმართულებით.

დაწესებულების ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა, სადაც დასაქმებულია დაწესებულების 1 თანამშრომელი. ბიბლიოთეკაში 1250 წიგნია. ლიტერატურა ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

N12 დაწესებულებაში 2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პროფესიულ/საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა აქტივობების მიხედვით, იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	სახელობო/პროფესიული/ საგანმანათლებლო პროგრამები	თვეები	ჩართულობა
1	კომპიუტერის შემსწავლელი კურსები	იანვარი	60
		თებერვალი	60
		მარტი (დასრულდა)	54
2	მედავითნეობის შემსწავლელი კურსი	თებერვალი	29
		მარტი	29
		აპრილი	29
		მაისი	14
		ივნისი	14
		ივლისი	14
		აგვისტო	14
3	საეკლესიო გალობის შემსწავლელი კურსი	თებერვალი	22
		მარტი	15
		აპრილი	15
		მაისი	15
		ივნისი	15
		ივლისი	15
		აგვისტო	15
4	დალაქის შემსწავლელი კურსი	მაისი	4
5	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	ივნისი	69
		ივლისი	35
		აგვისტო	69
6	კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი	ივნისი	16
		ივლისი	16
		აგვისტო	16
7	კომპიუტერის შემსწავლელი საბაზისო კურსი	ივნისი	32
		ივლისი	32
		აგვისტო	32

მიმდინარე წელს პატიმართა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა	თვეები	ჩართულობა
1	„ცხოვრების ჯანსაღი წესი“	იანვარი	18
		აპრილი	16
		მაისი	16
2	„სტრესის მართვა“	ივნისი	10
3	„კოგნიტური და სოც. უნარებით აღჭურვა“	აგვისტო	10

ხოლო სპორტულ ღონისძიებებში პატიმართა ჩართულობა შემდეგნაირია:

N	სპორტული ღონისძიება	თვეები	ჩართულობა
1	ჭადრაკის ჩემპიონატი	იანვარი	21
2	მკლავჭიდის ჩემპიონატი	აპრილი	30
3	მკლავჭიდის ტექნიკის შემსწავლელი ვარჯიში	ივნისი	8
		ივლისი	8
		აგვისტო	8

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, 2015 წლის მარტის თვეში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით ჩატარდა სატრენინგო/საგანმანათლებლო შეხვედრა თემაზე „საბრძოლო იარაღის ისტორია“, რომელსაც ესწრებოდა 21 მსჯავრდებული; პენიტენციური დეპარტამენტის ორგანიზებით შედგა შეხვედრა ფონდ „ივერიის“ წარმომადგენლებთან და პაატა ბურჭულაძესთან. შეხვედრას დაესწრო 49 მსჯავრდებული. ამავე წლის აპრილში, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა შეხვედრა პოეტებთან მამა პეტრე კვარაცხელიასა და თემურ შენგელიასთან, სადაც მსჯავრდებულებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაწარმოებები. შეხვედრას ესწრებოდა 34 მსჯავრდებული. მაისში საპატრიარქოსა და პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ორგანიზებით გაიმართა ფილმის - „ვეძებ ადამიანს“ - ჩვენება, რომელსაც ესწრებოდა 48 მსჯავრდებული. ივნისში საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურმა ცენტრმა „თანადგომამ“ განახორციელა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა პატიმრებთან თემაზე - „აივ/ შიდსი-მიმდინარეობა, გავრცელება, პრევენცია“. შეხვედრას 13 მსჯავრდებული დაესწრო.

ცხრილებში მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ N12 დაწესებულებაში აქტიურად ხორციელდება პატიმართა სარეაბილიტაციო ღონისძიებები, თუმცა მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა, რათა განხორციელდეს უფრო მეტი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები. ამ მიზნით, სასურველია მოხდეს საჭიროებების შეფასება და პატიმრების მიერ ყველაზე მეტად მოთხოვნადი აქტივობების დადგენა.

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“[34] „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“[35] „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“[36] ვიზიტის დროისთვის დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 22 პატიმარი, რომლებიც ძირითადად ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს და ახორციელებდნენ სხვა მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაშიც იღებდნენ შრომის ანაზღაურებას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **გაძლიერდეს მუშაობა, რათა განხორციელდეს უფრო მეტი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები. ამ მიზნით, მოხდეს საჭიროებების შეფასება და პატიმრების მიერ ყველაზე მეტად მოთხოვნადი აქტივობების დადგენა**
- **მიიღოს საჭირო ზომები, რათა მეტ პატიმარს მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა**

5. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.[37]

N12 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში შესაძლებელია ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიღება. საექიმო-სამედიცინო პუნქტში არის პირველადი ჯანდაცვის ორი ოთახი, მთავარი ექიმის კაბინეტი და ოთახი პრეპარატ სოფოსბუვირის მისაღებად.[38] პირველადი ჯანდაცვის მეორე ოთახში მოსახვედრად პაციენტმა უნდა გაიაროს

[34] ციხის ევროპული წესები. წესი 26.1.

[35] იქვე, წესი 26.2.

[36] ციხის ევროპული წესები, წესი 26.3.

[37] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

[38] ვიზიტის დროს სოფოსბუვირის მისაღები ოთახი ახალგარემონტებული იყო და არ ფუნქციონირებდა.

პირველადი ჯანდაცვის პირველი ოთახი, მთავარი ექიმისა და სოფოსბუვირის მისაღებ ოთახში მოსახვედრად კი პირველადი ჯანდაცვის ორივე ოთახი. აღნიშნული ოთახების განლაგება არღვევს პაციენტის სამედიცინო მომსახურების კონფიდენციალურობას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები თავად შეესწრნენ ფაქტს, როდესაც პირველ პირველადი ჯანდაცვის ოთახში ერთ-ერთი პატიმრის კონსულტაციის მიმდინარეობის დროს სხვა პატიმრები გადაადგილდებოდნენ მეორე პირველადი ჯანდაცვის ოთახსა და მთავარი ექიმის ოთახში.

საექიმო-სამედიცინო პუნქტის შემადგენლობაში ასევე შედის მცირე სამანიპულაციო, წამლების სამარაგო და ერთი სტომატოლოგიური კაბინეტი. სამანიპულაციო კაბინეტში კეთდება ინტრავენური გადასხმები, ინექციები, შეხვევები და მცირე ქირურგიული მანიპულაციები.

დაწესებულების სამედიცინო და სხვა დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შედის 10 სამედიცინო მუშაკი, მათ შორის, მთავარი ექიმი, 2 ექიმი (დღის) 2 ექთანი (დღის) 4 მორიგე ექთანი, 1 ფარმაცევტი – სამარაგოს პასუხისმგებელი პირი.

საჭიროების შემთხვევებში, გამოძახების საფუძველზე, დაწესებულებაში კონსულტაციებს ატარებენ ინფექციური სნეულებების სპეციალისტი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, უროლოგი, პროქტოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, რადიოლოგი და სტომატოლოგი.

2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით N12 დაწესებულებაში მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ განხორციელებულ კონსულტაციათა რაოდენობა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
124	96	100	72	92	84	123	59

კონსულტაციაზე პატიმართა ჩაწერა ფიქსირდება კონსულტაციის აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ჩაწერის თარიღები არსად არის მითითებული და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენი ხანი უწევს ლოდინი ჩაწერილ პატიმარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სხვა პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებშიც წარმოებს კონსულტაციების აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა ეს არ არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმა, რომლის წარმოებაც, დადგენილი წესის შესაბამისად, ყველა დაწესებულებას მოეთხოვება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი, სპეციალური ფორმის დამტკიცება, სადაც მითითებული იქნება პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პატიმარი გ.ნ. ჩაწერილი იყო კონსულტაციაზე დერმატოლოგთან, თუმცა ვიზიტის განხორციელების

დღისთვის გასული იყო ერთი თვე და პაციენტი ისევ ელოდა დერმატოლოგთან კონსულტაციას.

დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, სტომატოლოგი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში 2-3 ჯერ მიდის დაწესებულებაში, თუმცა ბოლო 3 თვის მონაცემების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სტომატოლოგი საშუალოდ კვირაში ერთხელ შემოდის დაწესებულებაში. მოწვეულ სპეციალისტს აქვს ლიცენზია როგორც თერაპიულ, ასევე ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში; სტომატოლოგს არ ჰყავს ასისტენტი და ყველა სახის მანიპულაციას, იარაღის სტერილიზაციას და ასევე კაბინეტის ჰიგიენური პირობების დაცვას იგი თვითონ ახორციელებს. იმისათვის, რომ პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო სტომატოლოგიური მომსახურეობით, აუცილებელია, სტომატოლოგი კონსულტაციებს ატარებდეს წინასწარგანსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი, ხდებოდეს პაციენტის სტომატოლოგიური მომსახურეობა სასწრაფო წესით. სტომატოლოგის ასისტენტის დახმარებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, N12 დაწესებულებაში იგეგმება შესაბამისი საშტატო ერთეულის დამატება.

ფსიქიატრი ხელშეკრულების საფუძველზე, გეგმიურად შემოდის კვირაში ერთხელ. მწვავე შემთხვევების დროს პაციენტი გადაჰყავთ N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ვიზიტის მომენტისათვის 2 პატიმარი იყო გადაყვანილი.

N12 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით დაავადებათა პრევალენტობის მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	პრევალენტობა დაავადებები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
1	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები								
2	ნაწლავური ინფექციები		4						
3	უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები					1			1
4	ცენტრალური ნერვული სისტემის ვირუსული ინფექციები								
5	ვირუსული ინფექციები, რომლებსაც ახასიათებს კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანება								18
6	ვირუსული ჰეპატიტები		18	22	24	41	40	42	38
7	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები								
8	სხვა ვირუსული დაავადებები								
9	სიმსივნეები		1	1	1	1			1
10	სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის იმდინარე ზოგიერთი დარღვევები								
11	ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები					4	6	10	12

12	შაქრიანი დიაბეტი	2	9	9	10	11	13	15	17
13	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	16	39	41	46	50	40	49	64
14	ნერვული სისტემის დაავადებები		18	18	18	18	18	25	25
15	თვალისა და მისი დანამატების დაავადებები		14	16	17	17	12	23	30
16	ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები		3	1	4	3	2	10	14
17	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	18	19	22	24	40	44	38	53
18	სასუნთქი სისტემის დაავადებები	32	59	20	27	28	32	42	50
19	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	33	19	27	31	34	40	35	29
20	კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები	10	13	24	30	28	30	31	35
21	ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილების დაავადებები	8	12	14	25	27	17	20	23-
22	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	4	9	12	17	34	41	30	28
23	დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები					2			

ზემოთ მითითებული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებაში გავრცელებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები, სასუნთქი სისტემის დაავადებები, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა სუიციდის პრევენციის პროგრამა. დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, სუიციდის პრევენციის პროგრამა ამოქმედდა სექტემბრის თვიდან და დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს მასში ჩართული იყო 4 პატიმარი.

2015 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით „C“ ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამაში ჩართულობის მაჩვენებელი თვეების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

იანვარი	**თებერვალი**	**მარტი**	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**	**ივლისი**	**აგვისტო**
24	19	2	2	2	4	4	4

დაწესებულებაში, თვეში ერთხელ კონტრაქტორი ფირმა ახორციელებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ დამუშავებას (დეზინფექციას, დეზინსექციას და დერატიზაციას) სპეციალური სითხეებითა და ფხვნილებით. ტერიტორიის გარდა, პატიმართა მოთხოვნის შემთხვევაში, ხდება ასევე საკნების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დამუშავებაც.

ვიზიტის დროს შემოწმდა წამლების სამარაგო/საწყობი, რომელიც განთავსებული იყო 2 მცირე ზომის ოთახში. აღსანიშნავია, რომ წამლების სამარაგოში არსებული პირობები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N575 დადგენილების მოთხოვნებს. აფთიაქის ჭერისა და კედლების მოპირკეთება არ იძლეოდა სველი წესით რეგულარულად დასუფთავებისა და საჭიროების მიხედვით სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების საშუალებას.[39] წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით,

[39] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N575 დადგენილება, 1-ლი მუხლი, მე-14 ნაწილი.

წამლების სამარაგო გადადის დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო ნაწილში. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სამარაგოსთვის განკუთვნილი ოთახის რემონტი. აღსანიშნავია, რომ N12 დაწესებულების დირექტორის წერილის თანახმად,[40] სამედიცინო ბლოკის ტერიტორიაზე მოეწყო ახალი წამლების საცავი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დერმატოლოგის კონსულტაციების დროულად ჩასატარებლად**
- **დაამტკიცოს ერთიანი, სპეციალური ფორმა, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა აღნიშნული ფორმა სრულყოფილად შეავსოს**
- **სტომატოლოგი უზრუნველყოფილ იქნას ასისტენტის დახმარებით**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა პატიმართა სამედიცინო მომსახურების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით სათანადო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში არსებულ წამლების სამარაგო/საწყობში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად**

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[41] ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[42] ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.[43] დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.[44] მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[45]

---

[40] 2016 წლის 18 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N12 დაწესებულების დირექტორის N616/16 წერილობითი პასუხი.

[41] ციხის ევროპული წესები, წესი 56.1.

[42] იქვე, წესი 56.2.

[43] იქვე, წესი 60.2.

[44] იქვე, წესი 60.3.

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე. მნიშნელოვანია, განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც იწვევენ დისციპლინურ პასუხისმგებლობას. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N12 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან მონიტორინგის დღემდე დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 14 შემთხვევაში. აქედან 6 შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება, ხოლო 8 პატიმარს გამოეცხადა საყვედური. 9 შემთხვევაში პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული იყო „პატიმრობის კოდექსის“ მე-80 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისთვის.[46]

თუ 2014 წლის მონაცემებს[47] შევადარებთ 2015 წლის დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას, შეინიშნება უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია, კერძოდ, 2014 წელს სხვადასხვა დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 12, ხოლო 2015 წლის პირველი 9 თვის მანძილზე 14 შემთხვევაში.

პატიმრის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში მონაწილეობის შემდგომ, სოციალური მუშაკი ადგენს პატაკს მისი დადებითი ქცევის შესახებ და აწვდის დაწესებულების დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წახალისების ფორმა გამოიყენოს პატიმრის მიმართ. შესაბამისი გადაწყვეტილება ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში. წახალისების სახით შესაძლებელია გამოცხადდეს მადლობა, დაემატოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემანი, მოეხსნას საყვედური ან სხვა დისციპლინური სახდელი და ა.შ.

2015 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით დაფიქსირდა წახალისების 14 შემთხვევა.[48] 2014 წელს N12 დაწესებულებაში დაფიქსირდა წახალისების მხოლოდ 15 შემთხვევა, ხოლო 2015 წლის პირველი 8 თვის მანძილზე 14, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია არც თუ ისე ხშირად იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს პატიმართა მიმართ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, დაწესებულების დირექტორმა უფრო აქტიურად გამოიყენოს წახალისების ფორმები,

---

[45] იქვე, წესი 60.4.

[46] განზრახი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა.

[47] სულ 12 შემთხვევა, აქედან 5 სამარტოო საკანში მოთავსება და 7 საყვედურის გამოცხადება.

[48] აქედან 5 შემთხვევაში პატიმრებს მადლობა გამოეცხადათ, 8 შემთხვევაში დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე მოეხსნათ, ხოლო 1 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა წახალისების სხვა ფორმა.

ვინაიდან პატიმართა ხშირი წახალისება შეასუსტებს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს პატიმართა რესოციალიზაციას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება**

რეკომენდაცია N12 დაწესებულების დირექტორს

- **სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები**

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[49]

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის ნელსონ მანდელას წესების 106-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ხოლო 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით –

[49] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები, სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; რაც შეეხება ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას, საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ხოლო 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

პენიტენციური დეპარტამენტის N12 დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[50] 2015 წლის იანვრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით ამავე დაწესებულებაში მსჯავრდებულებმა ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნით ისარგებლეს 1131 შემთხვევაში.

N12 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

თვე	ხანმოკლე პაემანი	ხანგრძლივი პაემანი
იანვარი	97	15
თებერვალი	119	16
მარტი	130	13
აპრილი	109	14
მაისი	142	14
ივნისი	134	14
ივლისი	147	18
აგვისტო	127	22
სულ	1005	126

ევროპული ციხის წესების 24.4 წესის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ N12 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინით გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ნელსონ მანდელას წესების[51] თანახმად,

[50] სახალხო დამცველის აპარატში 2015 წლის 6 ოქტომბერს შემოსული N11796/15 წერილი (MCLA 915 008 46714).

[51] ევროპული ციხის წესები, წესი 106

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

„პატიმრობის კოდექსის“ 17[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულებისა, უფლება აქვს ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან. სამწუხაროდ, N12 დაწესებულებაში ვიდეო-პაემნის უფლებით სარგებლობა ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება.

სატელეფონო საუბრები

„პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა. ამავე კანონის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა;

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ N12 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია 20 ტელეფონის აპარატის საშუალებით შეუზღუდავად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა N12 დაწესებულებაში მოეწყოს ვიდეო-პაემნით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა**